დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს ,,ლაზარე“

შეფასების თარიღები ---------- 27 და 28 აპრილი

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი ---------- 1 ივნისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: Maka Tukvadze Digitally signed by Maka Tukvadze Date: 2022.05.31 16:45:45

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა Magda Baramadze Digitally signed by Magda Baramadze Date: 2022.06.01 11:54:36 +04'00'

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს „ლაზარე“
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	216358242

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი რუსთავი
იურიდიული მისამართი	ქ. რუსთავი ალ. მესხიშვილი 4-70
ფაქტობრივი მისამართი	ქ. რუსთავი მეგობრობის I გასასვლელი № 3 ქ. რუსთავი მეგობრობის II გასასვლელი № 3
საფოსტო ინდექსი	3700
დაწესებულების ვებ-გვერდი	www.skolalazare.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	skolalazare@gmail.com

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599 76 85 65
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ნუგზარ მაისურაძე
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	(0341) 254445 593 490 754
ელ-ფოსტა	maisuradzenugzari@gmail.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N 327921 30/03/2022
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	27 და 28 აპრილი 2022 წ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	მაკა ტუკვაძე
წევრი (სახელი, გვარი)	მაგდა ბარამაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით			
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.2.*	.....
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.5.*	
	2.7.	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.3.*	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	სკოლის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს: ✓ სკოლის მიერ ინიცირებული კალიგრაფიის კონკურსი, რომლის მიზანია სკოლის მოსწავლეების ქართული დამწერლობით და მისი ისტორიით დაინტერესება, კალიგრაფიის ხელოვნების პოპულარიზაცია, მოსწავლეთათვის ტრადიციული ქართული კალიგრაფიის გაცნობა და თანამედროვე კალიგრაფიის პერსპექტივების, პრაქტიკული მხარეების წარმოჩენა. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ქვემო ქართლის საჯარო და კერძო სკოლის II-XII კლასის მოსწავლეებს. კონკურსში მონაწილეობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	უფასოა და მოიცავს სამ ტურს. ✓ სკოლაში მოქმედი მათემატიკის საშაბათო სკოლა, სადაც სკოლა ,,ლაზარეს“ და რუსთავის მუნიციპალიტეტის სხვა III-VI კლასის მოსწავლეები, თბილისის კომაროვის სახელობის №199 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლასთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად მეცადინეობენ მათემატიკაში, რაც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს გამოიმუშაონ მათემატიკური უნარ-ჩვევები და ლოგიკური აზროვნება. ✓ პროფორიენტაციის გაკვეთილები-სკოლაში აქტიურად ხორციელდება პროფორიენტაციის გაკვეთილები, რომელსაც ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი. მნიშვნელოვანია კავკასიის უნივერსიტეტის მხარდაჭერა, რომლის ფარგლებში 2021-2022 სასწავლო წელს სულად დაუფინანსა სკოლა ,,ლაზარეს“ მოსწავლეებს და მასწავლებლებს ,,პროფესიული ორიენტაციის პროგრამის“ ფარგლებში შეხვედრები და კონსულტაციები.

დაწესებულების მისია	სკოლის მისიაა, შექმნას ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მისაღწევი საჭირო საგანმანათლებლო გარემო და რესურსები. შეუქმნას მოსწავლეს პირობები საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად და იმ უნარ-ჩვევების გასავითარებლად, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთელი ცხოვრების განმავლობაში, მისცეს მოსწავლეს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლება და დაეხმაროს მომავალი არჩევანის გაკეთებაში (სწავლის გასაგრძელებლად ან შრომით საქმიანობაში ჩასაბმელად); სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლის გონებრივ, ფიზიკურ, ემოციურ და სოციალურ განვითარებას, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენას, დამოუკიდებელი სწავლისა და შრომისუნარიანობის განვითარებას, აქტიური მოქალაქის ფორმირებას, მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი და პასუხისმგებლობის მქონე პიროვნების ჩამოყალიბებას, რომელიც შეძლებს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებას, საკუთარი მიღწევების გამოყენებას ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები: 1. სასურველია შემაჯამებელი დავალებების ინდიკატორების და შეფასების ინსტრუმენტების მეტად გააზრება 2. დაწესებულებამ უზრუნველყოს ერთ მისამართზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია.	

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 200	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „ლაზარე“ წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებას. სკოლაში პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით ფუნქციონირებს მხოლოდ თითო პარალელი. ვიზიტის დროს, სკოლაში ირიცხებოდა 111 მოსწავლე. სკოლას შემუშავებული აქვს 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმების საფუძველზე. მისი ნაწილებია: 1. სკოლის მისია; 2. კათედრების სამუშაო გეგმები(ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხო ენების, მათემატიკის კათედრა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა, სპორტისა და ესთეტიკური ციკლის,დაწყებითი კლასების კათედრა) 3. სასკოლო საათობრივი ბადე; 4. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანები; 5. ინკლუზიური განათლება; 6. სადამრიგებლო პროგრამა; 7. მოსწავლის შეფასების სისტემა; 8. წლიური გამოცდები და მათი ჩატარების ვადები; 9. შეფასების კრიტერიუმები (კათედრების მიხედვით); 10. დამატებითი მეცადინეობები და მათი ჩატარების მექანიზმები 11. კათედრის გამგეები და კლასის დამრიგებლები 12. მშობელთა და მოსწავლეთათვის სასკოლო - სასწავლო გეგმის გაცნობის წესი სასკოლო სასწავლო გეგმაში დაწვრილებით არის წარმოდგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თითოეული კათედრის სამუშაო გეგმა, კათედრების მიერ წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალი, განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების და ვადების მითითებით სსგ-ში წარმოდგენილია ის ძირითადი (გრიფმინიჭებული) და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა, ავტორებისა და გამომცემლობების მითითებით, რომლიც არჩეული აქვს სკოლას. შპს „ლაზარეს“ სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგანი: ქართული ენა, მათემატიკა, პირველი უცხოური ენა (ინგლისური), მეორე უცხოური ენა (რუსული), ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, მე და საზოგადოება, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება, ბუნება, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია, ისტ (ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები), სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება, ფიზიკური აღზრდა და სპორტი. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, საშუალო საფეხურზე ისწავლება შემდეგი არჩევითი საგანები: X კლასი - ხელოვნების ისტორია XI კლასი - კომპიუტერული ტექნოლოგიები XII კლასი - ასტრონომია. სკოლის საათობრივ ბადეში სავალდებულო საგნების საათობრივი დატვირთვა მიჰყვება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კვირეულ საათობრივ დატვირთვას. სსგ-ში გაწერილია პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილების ჩატარების განრიგი IX და XI კლასებისთვის. დაწყებით საფეხურზე I-IV კლასებში დამატებით ფაკულტატურ საგნებად ისწავლება: ✓ ჭადრაკი - მოსწავლეთა გონებრივი შესაძლებლობების უკეთ განვითარებისა და ლოგიკური თანმიმდევრული აზროვნების ჩამოყალიბების მიზნით. ✓ ცეკვა -მოსწავლის სახელოვნებო საქმიანობაში ჩაბმის, შემოქმედებითი უნარების განვითარების, სწორი მოძრაობებისა და მოტორული უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბების მიზნით. ✓ V-VI კლასებში კალიგრაფია - მოსწავლის სახელოვნებო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შემოქმედებით საქმიანობაში ჩაბმის, შემოქმედებითი უნარების წარმოჩენის და ხელით წერის კულტურის განვითარების მიზნით სამივე საგნის პროგრამა წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. თითოეული საგნის პროგრამაში გაწერილია: • მიზნები; • სწავლისა და სწავლების მეთოდებს; • სასწავლო კურსის შინაარსი, პროგრამა; • სწავლის შედეგები; • შეფასება; • ლიტერატურა; • რესურსები; სამივე საგნის სწავლება გათვალისწინებულია საგაკვეთილო ცხრილით. ინტერვიუებისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაზუსტდა, რომ ამ კურსების სწავლება სავალდებულოა სკოლაში, მიუხედავად იმისა, რომ საგნები ფაკულტატურ საგნებად არის დაფიქსირებული სსგ-ში. სსგ-ში წარმოდგენილია მოსწავლეებთან დამატებითი მეცადინეობები და მათი ჩატარების მექანიზმები. მოცემულია დამატებითი გაკვეთილების პროგრამები ქართულ ენაში, მათემატიკაში და ისტორიაში. დამატებითი გაკვეთილები ტარდება საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის შაბათ დღეს. მშობელთა და მოსწავლეთათვის სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობა ხდება, დამრიგებლების მიერ, სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში მშობელთა კრებაზე. სკოლის სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებების შესწავლამ აჩვენა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 07/09/2021წ.) • შპს ,,ლაზარეს“ დირექტორის წერილი 05/33 27/04/2022 • მასწავლებლებთან გასაუბრება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• მშობლეებთან და მოსწავლეებთან გასაუბრება • დირექციასთან გასაუბრება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია ყველა ის სასწავლო-სააღმზრდელო ღონისძიება, რომელიც აუცილებელია მოსწავლის ცოდნისა და უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია სკოლის საფეხურის მიზნები, ამოცანები და შედეგები, დამატებითი საგნების პროგრამები. კათედრებს შემუშავებული აქვთ წლიური სამოქმედო გეგმები. კათედრის თავმჯდომარეები სკოლის დირექციასთან ერთად პერიოდულად ახორციელებენ სასწავლო პროცესის მონიტორინგს. ყველა კლასს ჰყავს კლასის დამრიგებელი, რომლებიც აწარმოებენ დამრიგებლის პორტფოლიოს. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეები მონაწილეობენ კლასგარეშე და სკოლისგარეშე სპორტულსა და შემეცნებით ღონისძიებებში, რაც საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ესგ-ით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები. სკოლაში ფუნქციონირებს 7 კათედრა: 1. ქართული ენისა და ლიტერატურის; 2. უცხო ენების; 3. მათემატიკის კათედრა; 4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა; 5. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა; 6. სპორტისა და ესთეტიკური ციკლის კათედრა; 7. დაწყებითი კლასების კათედრა. სკოლას აქვს კათედრის ფუნქციონირების ამსახველი დოკუმენტაცია, კათედრების სამუშაო გეგმა; შემაჯამებელი სამუშაოების განრიგი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაგეგმილი შემაჯამებლების ნიმუშები, ჩატარებული შემაჯამებლების ანალიზები. ყველა კათედრას აქვს შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზის ფორმები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. კათედრის ფუნქციებია: • საგნობრივი ჯგუფის სწავლების კოორდინაცია, რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით; • მასწავლებლის მიერ კლასების მიხედვით ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შეგროვება და შენახვა. • ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობების განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება- ზრუნვა მასწავლებების პროფესიული განვითარებისათვის. • სახელმძღვანელოების, სხვა სასწავლო რესურსების შერჩევა, რეკომენდაციების შემუშავება დამხმარე სასწავლო მასალებისა და ბიბლიოთეკისათვის საჭირო წიგნების შესახებ. • შეფასების კომპონენტების შემადგენელი კრიტერიუმების შემუშავება და აღწერა; • სხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან კოორდინირებული მუშაობა; • მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების გრაფიკის შედგენა და შედეგების განხილვა -შეფასება. • სხვადასხვა სახის აქტივობების ორგანიზება სხვადასხვა კლასის მოსწავლეების მონაწილეობით. კონკურსებში, ოლიმპიადებსა და კონფერენციებში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია სასკოლო, საგაკვეთილო და კლასგარეშე აქტივობების შესახებ ინფორმაცია, სადაც ნათლად ჩანს მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი, კმაყოფილება და მოტივაცია. შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე შიძლება დავასკვნათ, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 07/09/2021წ.) • კათედრების სამუშაო გეგმები; • სადამრიგებლო პროგრამა; • ვებ-გვერდი (http://skolalazare.ge/) • კათედრის მუშაობის დებულება (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ, განხილულია პედაგოგიური საბჭოს მიერ პედსაბჭოს სხდომის ოქმი N1. 08/09/2016წ.). • მასწავლებლებთან გასაუბრება • დირექციასთან გასაუბრება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „ლაზარეს“ სასკოლო სასწავლო გეგმის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ინკლუზიური საწავლების კონცეფცია და ეროვნული სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის. ინკლუზიური განათლების პროგრამაში წარმოდგენილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის ტიპები, სადაც არ გვხვდება ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეები სწავლაში. ვიზიტის განმავლობაში სკოლის დირექტორმა გამოცა ბრძანება, აღნიშნული ხარვეზის გასასწორებლად. ინკლუზიური განათლების პროგრამაში ასევე წარმოდგენილია: ინდივიდუალური გეგმის შედგენის პრინციპები, სსსმ მოსწავლეებთან მომუშავე ისგ ჯგუფის ფუნქცია-მოვალეობები, სკოლაში მიღების წესი, სასკოლო გარემოს მოწყობა, ინდ.გეგმის ნიმუში, მონიტორინგის ფორმა, სსსმ მოსწავლის სასწავლო პროცესზე დაკვირვების ფორმები. ამჟამად სკოლას არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა სკოლაში შექმნილია შემდეგი პირობები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლა ერთსართულიანია, სკოლას აქვს პანდუსი. ყველა საკლასო ოთახსა და დერეფანში შესაძლებელია ეტლით გადაადგილება. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლის არსებობის შემთხვევაში განსახორციელებელი ქმედებების გეგმა. სკოლის მიზნების, ხედვებისა და სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იქნებიან სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 07/09/2021წ.) • შპს ,,ლაზარეს“ დიექტორის ბრძანება 03/8 27/04/2022-სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ. • ვებგვერდი (http://skolalazare.ge/) • ვიზუალური დათვალიერება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად პრინციპებს. სკოლა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი ტიპის შეფასებებს. განმავითარებელი შეფასების მიზანია სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების- მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. შეფასება დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე ესგ-ით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისია. დამატებით საგანმანათლებლო მომსახურეობში(ჭადრაკი, კალეგრაფია, ქართული ცეკვა) მოსწავლეები ფასდებიან განმავითარებელი შეფასებით. განმავითრებელი შეფასებისას სკოლა იყენებს ბლუმისა და სოლო ტაქსონომიებს მოსწავლეთა სააზროვნო დონის დასადგენად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განმსაზღვრელ შეფასების დროს კი სხვადასხვა სახის რუბრიკებს. ყოველ შემაჯამებელ დავალებას თან ახლავს კონკრეტული შეფასების რუბრიკა. სკოლას შემუშავებული აქვს ყველა საგნის ზოგადი შეფასების სისტემა. მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში: ა) მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები), ბ) მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები), გ) შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები). სამივე კომპონენტებს ერთნაირი წონა აქვს. V კლასის მეორე სემესტრის, VI კლასის და საბაზო-საშუალო საფეხურების თითოეული საგნისათვის განისაზღვრება სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება. თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება. გაცდენილი შემაჯამებელი სამუშაოს აღდგენა შესაძლებელია მომდევნ ორი სასწავლო დღის განმავლობაში, გაკვეთილების შემდეგ. თუ მოსწავლე სკოლაში არ გამოცხადდა მომდევნო ორი დღის განმავლობაშიც, შემაჯამებლის აღდგენა შესაძლებელია მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე ერთი კვირის ვადაში მოსწავლის სკოლაში გამოცხადების დღიდან მომდევნო გეგმიური შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარებამდე. შემაჯამებელი სამუშაოს აღდგენის ოქმი ინახება სკოლის დირექტორის მოადგილესთან სასწავლო დარგში. სკოლის მიერ წარმოდგენილ კათედრის საქაღალდეებში განთავსებულია განმავითარებელი შეფასების ნიმუშები დაწყებითი საფეხურისთვის, ასევე წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრუკები შემაჯამებელი დავალებისთვის. შემაჯამებელ დავალების შეფასებასთან ერთად სკოლა აწარმოებს შეფასების ანალიზს. შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წარმოდგენილი მასალების შესწავლამ აჩვენა, რომ შემაჯამებელი დავალების კომპონენტში გამოყენებულია სხვადასხვა სახის დავალებები, მათ შორის კომპლექსური, რომელთა შეფასება ხდება სოლო ტაქსონომიით. სკოლაში კლასისას და საფეხურის დაძლევის მინიმალური ბარიერი 5,0 -ია. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შემდეგი ტიპის გამოცდები: ა) სემესტრული გამოცდა ბ) საშემოდგომო გამოცდა, განსაზღვრულია საშემოდგომო გამოცდის ჩატარების პროცედურა. დირექტორის სამართლებრივი აქტის საფუძველზე შედგება საგამოცდო კომისია. კომისიის შემადგენლობაში შედის კომისიის თავჯდომარე, და იმ საგნის პედაგოგები რომელშიც დანიშულია გამოცდა. საგამოცდო კომისია ადგენს გამოცდების ჩატარების განრიგს. გამოცდები უნდა ჩატარდეს სასწავლო წლის დასრულებიდან არაუადრეს ორი კვირისა და სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე. კლასის დამრიგებელი ვალდებულია გამოცდების განრიგის შესახებ აცნობოს მშობელს. ბარიერგადაულახავ მოსწავლეებს წინასწარ მიეწოდებათ იმ საკითხების ჩამონათვალი რომლებიც სავალდებულოა მინიმალური ზღვრის გადალახვისათვის. გამოცდის ჩატარებამდე 2 კვირის განმავლობაში სკოლა უწევს კონსულტაციებს მოსწავლეებს შესაბამის საგნებში, გამოცდის შემდეგ შედგება უწყისი რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი. გ) ექსტერნატის გამოცდა დ) წლიური გამოცდა, 2021-2022 სასწავლო წელს წლიური გამოცდა არ არის გათვალისწინებული. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების სქემები, რუბრიკები, ცხრილები, რომელსაც პედაგოგები იყენებენ სასწავლო პროცესში. შეფასების კრიტერიუმები გამოკრულია საკლასო ოთახებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 07/09/2021წ.) • მასწავლებლების პორტფოლიო; • მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• მშობლებთან გასაუბრება; მოსწავლეებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შინაგანაწესში და სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილი აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი. კერძოდ, მშობლის ინფორმირება ხდება კლასის დამრიგებლის მიერ წერილობით, ელ.ფოსტით და/ან სიტყვიერად ინდივიდუალური შეხვედრის დროს. ასევე სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი რის საშუალებითაც მშობელს ყოველდღიურად აქვს საშუალება მიიღოს შვილის შეფასება, როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი, ინფორმაცია სკოლის გაცდენასა და გაკვეთილზე დაგვიანების შესახებ. თვეში ერთხელ ტარდება მშობელთა კრებები დისტანციურად, სადაც მშობლები ეცნობიან ზოგად ინფორმაციას კლასის შესახებ. მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის მიზნით, შექმნილია მშობელთა სათათბირო. რომელიც თავმჯდომარისა და 4 წევრისაგან შედგება და მათ სკოლის მშობელთა საერთო კრებაზე ირჩევენ. კანდიდატებს წარადგენენ კლასის დამრიგებლები. სათათბიროდან აირჩევიან წევრები სკოლის დისციპლინურ და სააპელაციო კომიტეტებში. სათათბიროს თავმჯდომარეს უფლება აქვს დაესწროს სკოლის პედსაბჭოს სხდომებს. სათათბიროს შესახებ შინაგანაწესის მე-10 მუხლში არის წარმოდგენილი ინფორმაცია, თუმცა მათი ფუნქციები გაწერილი ნათლად არ არის, გარდა იმისა რომ დისციპლინარული და სააპელაციო საბჭოს წევრები ხდებიან. **<u>სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა, შეიმუშავა შპს „ლაზარეს“ მშობელთა სათათბიროს დებულება და წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიციის დროს. დებულებით განსაზღვრულია: სათათბიროს მიზნები და ამოცანები, მშობელთა სათათბიროს ფუნქციები, სათათბიროს წევრებისა, თავმჯდომარის ფუნქცია-მოვალეობები და დასკვნითი დებულებები.</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის არც ერთწლიან სამოქმედო გეგმაა და არც ექვსწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში არ იკვეთება მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაზრდის ხელშეწყობის აქტივობები, თუმცა გასაუბრებისას სასკოლო საზოგადოება აღნიშნავდა მშობელთა ჩართულობას. მაგალითად აღნიშნავდნენ, რომ მშობლებს ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სკოლის შეფასების პროცესში, მათ ეგზავნებათ კითხვარები, რომლის შევსების დროსაც დაცულია ანონიმურობა და კითხვარების ანალიზის შედეგები გამოიყენება სკოლის განვიტარებისათვის საწირო აქტივობების დასაგეგმად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი • სადამრიგებლო პროგრამა • დამრიგებლის პორტფოლიო • ელექტრონული ჟურნალი lazare.edupage.org • მშობლის კითხვარები • ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმი • ერთწლიანი სამოქმედო გეგმი • კითხვარების ანალიზი • მშობლებთან გასაუბრება • შპს ,,ლაზარეს“ მშობელთა სათათბიროს დებულება • ბედსაბჭოს ოქმი-№6 -20.05.2022 • დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისა და მონიტორინგის სისტემა, რომელზეც პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, კათედრის გამგეებთან ერთად. მონიტორინგი გულისხმობს, მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და ორგანიზაციული საკითხების შემოწმებას. შემუშავებულია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შემოწმების სხვადასხვა ფორმები: ✓ შემაჯამებელი დავალებების ანალიზი კათედრის სხდომებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	✓ დირექტორის მოადგილის მიერ სემესტრული შედეგების ანალიზი საგნების მიხედვით, ✓ თითოეული საგნისა და კლასის რეიტინგის შედგენა, ✓ გაცდენებისა და კლასის რეიტინგის ანალიზის განხორციელება. ✓ მოსწავლეთა, მშობელთა და პედაგოგთა გამოკითხვები სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საშუალებით მიღებული შედეგების ანალიზის გათვალისწინებით ხორციელდება მომავალი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მოსწავლეთა, მშობელთა და პედაგოგთა კითხვარები • სასკოლო სასწავლო გეგმა • შინაგანაწესი • მშობლების, მოსწავლეთა და მასწავლებელთა კითხვარები • კათედრის გამგეების ანალიზი • დირექტორის მოადგილის ანალიზები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

22

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,ლაზარე“ (საიდენტიფიკაციო კოდი 216358242), მდებარეობს ქალაქ რუსთავში. დაწესებულება სასწავლო პროცესს ახორციელებს ორ მისამართზე. საჯარო რეესტრის ამონაწერით, ერთი შენობა მდებარეობს ქ.რუსთავში, მეგობრობის გასასვლელი-I №3, ფართით-587.29კვ.მ, სკოლასა და ფართის მფლობელს შორის გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულება 2035 წლამდე. მეორე შენობა მდებარეობს მეგობრობის გასასვლელი-II №-3-ში, საერთო ფართით-249.2კვ.მ. აღნიშნული ფართის ნაწილი-72კვ.მ სკოლის საკუთრებაა, ხოლო დანარჩენ 177,2კვ.მ ფართზე გაფორმებულია 15 წლიანი იჯარის ხელშეკრულება. ორივე შენობა ერთსართულიანია. პირველ შენობაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს დაწყებითი საფეხურის მე-5--მე-6კლასებში, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. საკლასო ოთახების გარდა შენობაში არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, კომპიუტერული კლასი, ექთნის ოთახი, სპორტული დარბაზი, სამასწავლებლო და დირექტორის კაბინეტი. მეორე შენობაში განთავსებულია დაწყებითი საფეხურის I-II-III-IV კლასები, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო და კიდევ ორი ოთახი, სადაც დასაწყობებულია ერთადგილიან და ორადგილიანი მერხები.
ფაქტობრივი მისამართი	ქ.რუსთავი, მეგობრობის გასასვლელი-I №3 ქ. რუსთავი, მეგობრობის გასასვლელი-II №-3
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	02.04.02.053.01.500 02.04.02.054.01.501 02.04.02.054.01.503
კვ.მ.	I შენობის საერთო ფართი-587.29კვ.მ I I შენობის საერთო ფართია-249.2კვ.მ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერები საჯარო რეესტრიდან: N 892021008997-26/11/2021 10:26:51, მომზადების თარიღი 28/11/2021 00:52:35

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	N 892021008804 - 26/11/2021 09:55:56 მომზადების თარიღი 02/12/2021 16:02:53 N 892021035132 - 03/12/2021 13:11:36 მომზადების თარიღი 05/12/2021 11:45:54 • შენობის შიდა აზომვითი ნახაზებით
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ორივე შენობაში 12 საკლასო ოთახია. საკლასო ოთახები აღჭურვილია სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ინვენტარით: ინდივიდუალურ მერხებით და სკამებით, მასწავლებლის მაგიდებით, სასკოლო დაფებით. ვიზუალური დათვალიერებით საკლასო ოთახებში განთავსებულია 200 ერთადგილიანი მერხი სკამეთ და 24 ორადგილიანი მერხი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესყიდვის დოკუმენტაციით, სკოლის მფლობელობაშია: ინდივიდუალური მერხი სკამით-200 ცალი, ორადგილიანი მერხი-24 ცალი, სასკოლო დაფა- 16 ცალი და პროექტორი ეკრანით. გარდა აღნიშნული ინვენტარისა საკლასო ოთახები აღჭურვილია პლაკატებით, რუკებით, ცხრილებით, და სხვადასხვა სახის სასწავლო თვალსაჩინოებებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით • შპს ,, აუდიტის“დასკვნა და ქონების ნუსხა საბაზრო ფასებში 28.06. 2016; • სასაქნოლო ზედნადებები; • საგადახდო დავალებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სპორტის გაკვეთილებისთვის განკუთვნილი 67.43კვ.მ ფართის დარბაზი მდებარეობს №-1 შენობაში, რომელიც აღჭურვილია ტენისის მაგიდით-2 ცალი, ხელბურთის კარით-2ცალი და ბაგირით. სპორტულ დარბაზს აქვს მასწავლებლის ოთახი, სადაც წარმოდგენილია მრავალფეროვანი სპორტული ინვენტარი და სპორტულ ღონისძიებებში მოპოვებული ჯილდოები. სკოლის ეზოში მოწყობილია მცირე ზომის სპორტული მოედანი ფრენბურთისა და მინი ფეხბურთისთვის. სკოლა ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, სარგებლობს სკოლის №1 და №2 შენობებს შორის მდებარე სტადიონით, სადაც ტარდება სასკოლო სპორტული ღონისძიებები. სტადიონის მფლობელ ჯავრიშვილის კლინიკა ,,ოფთალმიჯთან“(10.02.20222)ხელშეკრულება გაფორმებულია 2028 წლამდე. სკოლის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სპორტულ ღონისძიებებში, რასაც მოწმობს დირექტორის ოთახში და სკოლის დერეფანში გამოფენილი სიგელები და მედლები. ვიზუალური დათვალიერებით სკოლას აქვს მრავალფეროვანი სპორტული ინვენტარი: ტენისის მაგიდა-2, ბურთები, მინიფეხბურთის კარი-2, ფრენბურთის ბადე, ჭადრაკის დაფა-10ცალი, მათ შორის ერთი მაგნიტური სადემონსტრაციო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით • შპს ,, აუდიტის“დასკვნა და ქონების ნუსხა საბაზრო ფასებში 28.06. 2016; • სტადიონის ქირავნობის ხელშეკრულება, ჯავრიშვილის კლინიკა ,,ოფთალმიჯთან“-10.02.20222
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო კაბინეტი, სადაც კარადებში განთავსებულია ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების აღჭურვილობის კომპლექტი (208 დასახელება), საბუნებისმეტყველო ლაბორატორია შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 9.08.2011 წლის ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ №572 ბრძანებით განსაზღვრულ ჩამონათვალთან. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აღჭურვილია სველი წერტილით და გამწოვი მოწყობილობით. სკოლისთვის საბუნებისმეტყველო მიმართულება პრიორიტეტულია. ფუნქციონირებს ბიოლოგიის წრე. მოსწავლეები აქტიურად იყენებენ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას მრავალფეროვანი ცდების ჩასატარებლად, რაც დასტურდება სკოლის ვებგვერდზე განთავსებული ფოტომასალით და მოსწავლეებთან გასაუბრებით. პერიოდულად ხდება ბიოლოგიისა და ქიმიის ცდებისთვის საჭირო რეაქტივების განახლება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • ლაბორატორიის მიღება-ჩაბარების აქტი-15/11/2011 დანართით(ლაბორატორიის აღჭურვილობის ჩამონათვალი) • სკოლის ვებგვერდი • მოსწავლეებთან გასაუბრება • მიღება-ჩაბარების აქტებით: ბიოლოგიური თვალსაჩინოების ნაკრებისა და ქიმიური რეაქტივების შეძენაზე-26.01.2022
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. ელექტრო ენერგიის, გაზის და წყლის მიწოდების უწყვეტობას უზრუნველყოფს პროვაიდერებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კომუნალური დაგახდის ქვითრები. სკოლას აქვს ალტერნატიული დენის წყარო გენერატორი. დაწესებულებაში სულ 6 სველი წერტილია. აქედან ოთხი სველი წერტილი №1 შენობაში, მათ შორის ერთი ადაპტირებული, ორი სველი წერილი №2 შენობაშია. სველი წერტილები განკუთვნილია ბიჭებისთვის, გოგონებისთვის და პედაგოგებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • კომუნალური გადასახადის გადახდის ქვითრები • პროვაიდერებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო ბიბლიოთეკა მდებარეობს №2 შენობაში. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, განთავსებულია კარადებში ანბანურად და აღრიცხულია ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნში. სულ აღრიცხულია 1310 წიგნი, მათ შორის მხატვრული ლიტერატურა, თემატური მასალები პედაგოგებისთვის და სახელმძღვანელოები. ბიბლიოთეკაში გრიფირებული სახელმძღვანელოები განთავსებულია კლასების მიხედვით. გრიფირებული სახელმძღვანელოები აღრიცხულია ელექტრონულად, ექსელის ფაილში და განთავსებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის ვებგვერდზე. თვალსაჩინო ადგილზე განთავსებული პერიოდული გამოცემები: ,,ახალი განათლება“ და ჟურნალი ,,მასწავლებელი“. ბიბლიოთეკაში მოქმედებს მკითხველის ფორმულარები და საკატალოგე ბარათები. ბიბლიოთეკაში დგას ერთი ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერი და პრინტერი ქსეროქსით. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ბიბლიოთეკარის სიგელი, წიგნის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • ბიბლიოთეკის დებულება • ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი • ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი • მკითხველთა ფორმულარებით • სკოლის ვებგვერდი http://skolalazare.ge/
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას ამ ეტაპზე არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე, თუმცა შექმნილია ადაპტირებული გარემო ასეთი საჭიროების პირისთვის. დაწესებულების ორივე შენობა ერთსართულიანია, ეზოდან სკოლის შესასვლელი ადაპტირებულია პანდუსის საშუალებით. სსსმ პირისთვის განსაზღვრულია სველი წერტილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • სკოლის ვებგვერდიhttp://skolalazare.ge/
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. კომპიუტერული კლასი განთავსებულია №1შენობაში, სადაც დგას 8 ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერი. გარდა ამისა კომპიუტერები დგას სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში, დირექტორის ოთახში და სამ საკლასო ოთახში. სულ სკოლის მფლობელობაშია 14კომპიუტერი, 5პრინტერი და 2ქსეროქსის აპარატი. საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს ელ.ფოსტა skolalazare@gmail.com სკოლის ვებგვერდზე www.skolalazare.ge განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, დოკუმენტაცია, აქტივობები, ბიბლიოთეკა და გალერეა. ვებგვერდზე არ ჩანს სკოლის საკონტაქტო მონაცემები. **ექსპერტთა მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, საკომუნიკაციო ფუნქციების შესრულების მიზნით სკოლის ვებგვერდზე განთავსდეს საკონტაქტო მონაცემები. სკოლამ გაითვალისწინა რეკომენდაცია, რაც დასტურდება ვებგვერდის ვიზუალური დათვალიერებით და სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციით.** ვებგვერდზე განთავსებული ფოტომასალა ასახავს სკოლაში მიმდინარე პროცესებს, იმ ღონისძიებებსა და აქტივობებს, რომლებზეც საუბრობენ სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები. სკოლა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო მიზნებისთვის ასევე აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს. შექმნილია ფეისბუქგვერდი, რომელსაც აქვს შეტყობინების ღილაკი და შესაძლებელია სკოლასთან კომუნიკაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის ვებგვერდიhttp://skolalazare.ge/ ; • ვიზუალური დათვალიერება; • კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტი; • სკოლის ფეისბუქგვერდი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• დომენის და ჰოსტინგის გადახდის ქვითრები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს ,,ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც გამოკრულა დერეფნებში თვალსაჩინო ადგილზე. განსაზღვრულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები, გაწერილია სახანძრო უსაფრთხოების წესები და მოქმედებები ხანძრის დროს. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მიზნით, ორივე შენობა აღჭურვილია სახანძრო სტენდით (ცეცხლმაქრი-2, სათლი-2, ნიჩაბი და ბარი), საკლასო ოთახები და დერეფნები კვამლის დეტექტორებით და სათადარიგო გასასვლელის მინიშნებებით. შენობაში ცეცხლმაქრები განთავსებულია საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში. პერიოდულად ხდება ცეცხლმაქრების გადამუხტვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები; • სახანძრო ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია • საგადახდო ანგარიშფაქტურა ცეცხლმაქრების გადამუხტვა
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ორივე შენობის დერეფანში, თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმები. საევაკუაციო გეგმები დამზადებულია შპს ,,უსაფრთხოება და გარანტის“ მიერ. საევაკუაციო გეგმებს არა აქვს უფლებამოსილი პირის ბეჭედი. **<u>ექსპერტთა რჩევა, საევაკუაციო გეგმებზე უფლებამოსილი პირის</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	<u>ბეჭდის არსებობის შესახებ გათვალისწინებულია.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება. • სკოლის ვებგვერდი http://skolalazare.ge/
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესები და განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი-ექთანი. შემუშავებულია ექთნის დებულება. სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, ფართით-15,96კვ.მ (№1-შენობა) და სამედიცინო კარადა (№2 შენობა), სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ინვენტარით.: პაციენტის გასასინჯი ტახტი, სამედიცინო მაგიდა, კარადა მედიკამენტებისთვის და ინსტრუმენტებისთვის. სამედიცინო კაბინეტში ფუნქციონირებს ხელსაბანი, რომელიც აღჭურვილია თხევადი საპნით და ერთჯერადი ხელის გასამშრალებელი საშუალებით. სამედიცინო კაბინეტში ხელმისაწვდომია ხელის სადეზინფექციო საშუალება (*სანიტაიზერი*). მეორე შენობაში არის სამედიცინო კარადა, პირველადი მოხმარების მედიკამენტებითა და საჭირო ინვენტარით. სკოლას ემსახურება ორი ექთანი. ექთანი აწარმოებს: სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალს; დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმას და ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების სააღრიცხვო ფორმას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; • საშტატო განრიგი • შენობის აზომვითი ნახაზი
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებული აქვს ,,უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი“ (*ბრ.*27.12.2019). დირექტორის განმარტებით, აღნიშნული წესი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 06/*ნ* ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ პირველი მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად წარადგინა სამინისტროში შესათანხმებლად და ელოდება პასუხს. ,,უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესში“ გაწერილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები, პრევენციული ღონისძიებები, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასება, სკოლის ვიდეოთვალთვალის სისტემით აღჭურვა და ადმინისტრირების წესი, განსაზღვრულია უფლებამოსილი პირი. აღნიშნული წესით არ ითვალისწინებდა მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერების მექანიზმებს. სკოლამ ვიზიტის პერიოდში, დირექტორის ბრძანების საფუძველზე დაამატა ,,უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესს“ მე-17 მუხლი ,,უკონტაქტო დათვალიერება“, სადაც გაწერილია მოსწავლეთა უკონტაქტო დათვალიერების წესები და პირობები. . ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის ორივე შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საჭირო ტელეფონის ნომრები. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასება ხდება სკოლის მიერ შემუშავებული კითხვარებით. მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში მოქმედებს მასწავლებლების მორიგეობა წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით, როგორც შენობის შიდა ასევე გარე პერიმეტრზე და შესვენების დროს. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს დღისით შვეიცარი, ღამით დაცვის პოლიცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი (ბრ.27.12.2019) • დირექტორის ბრძანება № 03/6 27.04.2022- უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების შეფასების კითხვარები. • მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკი • საშტატო განრიგი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მთელი პერიმეტრის დათვალიერება ხდება ვიდეოკამერებით. ორივე შენობის შესასვლელში დამონტაჟებულია 2-2 ვიდეოთვალი, დერეფნებშიც განთავსებულია 2-2 ვიდეოთვალი. სულ შიგა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია 8 ვიდეოთვალი. ვიზიტის დროს ვიდეოთვალით აღჭურვილი იყო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. დირექტორის განმარტებით, საგაკვეთილო პროცესის დროს კამერები გამორთულია და მხოლოდ ღამით ხდება ლაბორატორიის ვიდეოთვალით კონტროლი ძვირადღირებული ინვენტარის დაცვის მიზნით. აღნიშნული წესი, ვიზიტის დროს გაიწერა უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის წესის მე-15 მუხლის 15.4 პუნქტში. სკოლის პერიმეტრის დათვალიერება შესაძლებელია დირექტორის კაბინეტში განთავსებული ორი მონიტორით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • კამერების მიღება-ჩაბარების აქტი -24/01/2022; • შპს ,, აუდიტის“დასკვნა და ქონების ნუსხა საბაზრო ფასებში 28.06. 2016 • ინტერვიუირება სკოლის დირექტორთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში სასწავლო პროცესი რეგულირდება სკოლის წესდებით, შინაგანაწესით და გადაწყვეტილების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისთვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტების საშუალებით. სკოლის წესდებით განსაზღვრულია: დაწესებულების სამართლებრივი ფორმა, მიზნები და ამოცანები, სკოლის სტრუქტურა და მართვა, სკოლის ქონება, დაფინანსება, ანგარიშგება და საბუღალტრო აღრიცხვა, სახელმწიფო კონტროლი, სკოლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, სკოლის წესდებაში ცვლილებების შეტანის წესი. შინაგანაწესი მოიცავს: მოსწავლეთა სკოლაში მიღების, კლასიდან კლასში გადაყვანის და სკოლიდან გარიცხვის წესს, თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და განთავისუფლების წესს, მოსწავლის, მასწავლებლების, მშობლებისა და სკოლის ადმინისტრაციის უფლება-მოვალეობებს, სასწავლო წლის და არდადეგების ხანგრძლივობას, დღის რეჟიმს, სასწავლო პროცესის მონიტორინგს, ფორსმაჟორს, სკოლის სტრუქტურას და სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობებს. შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. მოსწავლეთა სკოლაში მიღების, კლასიდან კლასში გადაყვანის და სკოლიდან გარიცხვის წესში გვხვდება ჩანაწერი -,,სკოლიდან მოსწავლის გარიცხვა,(სხვა სკოლაში სწავლის გაგრძელების უფლებით) როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის უკიდურესი ზომა, ხდება *გ*) ფინანსური დავალიანების გამო „ზოგადი განათლების შესახებ— საქართველოს კანონის 33[2] მუხლის თანახმად.“ --აღნიშნული კანონი არეგულირებს კერძო სკოლების უფლება-მოვალეობებს მოსწავლის მიმართ ფინანსური დავალიანების წარმოშობის დროს. კერძოდ, კერძო სკოლის ვალდებულებებს მიმდინარე სემესტრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დამთავრებაზე, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის შეტყობინების წესებს, მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების შეტყობინების ვადებს სამინისტროსა და მშობლისთვის; ვადებს, მობილობის შემთხვევაში პირადი საქმის მომთხოვნი სკოლისადმი გაგზავნისა და წინასწარ გადახდილი საფასურის დაბრუნების შესახებ. ასევე სანქციებს კანონის ამ მუხლის შეუსრულებლობის შემთხვევაში. აღნიშნული რეგულაციები შინაგანაწესში არ არის გაწერილი და არ არის ცნობილი სასკოლო საზოგადოებისთვის. **<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შინაგანაწესში დეტალურად გაეწერა „ზოგადი განათლების შესახებ-საქართველოს კანონის 33² მუხლის მოთხოვნები მოსწავლის მიმართ ფინანსური დავალიანების წარმოშობის შემთხვევაში. არგუმენტირებული პოზიციის დროს, სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება(№03/9 23.05.2022) შინაგანაწესში ცვლილების შეტანის შესახებ აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.</u>** შინაგანაწესით არ იყო განსაზღვრული მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომის სახეები და ფორმები, ასვე თანამშრომელთა მიღების წესი არ ითვალისწინებდა ზოგადი განათლების კანონის 33-[1] მუხლის მოთხოვნებს, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ ცნობის წარდგენაზე. თუმცა სკოლის თანამშრომლებს წარმოდგენილი აქვს აღნიშნული ცნობები. ექსპერტთა მიგნებები გაიზიარა სკოლამ და ვიზიტის ფარგლებში დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე (*ბრ.* №03/7 27.04.2022) გაასწორა არსებული ხარვეზები. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები: საქმისწარმოების წესი, კათედრის დებულება, ბიბლიოთეკის დებულება და მუშაობის წესი, მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი დაცვის წესი, ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, ლაბორატორიით სარგებლობის წესი და ექთნის დებულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის წესდება; • სკოლის შინაგანაწესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• კათედრის დებულება; • საქმისწარმოების წესი; • ბიბლიოთეკის დებულება; • ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; • ლაბორატორიით სარგებლობის წესი; • უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი დაცვის წესი; • ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება. • დირექტორის ბრძანება-№03/7 27.04.2022 • დირექტორის ბრძანება-№03/9 23.05.2022
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო და ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმები. წარმოდგენილი გეგმები განხილულია პედსაბჭოზე და დამტკიცებულია პედსაბჭოს სხდომის ოქმით (№5 24.06.2021). 2021-2022 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ერთი წლის განმავლობაში შესასრულებელ კონკრეტულ აქტივობებს, ახდენს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს განხორციელების ვადებს. წარმოდგენილი 2021-2027 წლების სტრატეგიული განვითარების ექვსწლიან გეგმა თავისი სტრუქტურით ერთწლიანი გეგმის იდენტურია. არ არის განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, ინდიკატორები და ძირითადად მოკლევადიანი მიზნების გადაწყვეტაზეა ორიენტირებული. არ ჩანს სტრატეგიული გეგმის შემუშავების მექანიზმები. ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა 2022-2028წწ (პედსაბჭოს სხდომის ოქმი №5 27. 04.2022) სტრატეგიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გეგმის შესწორებული ვარიანტი. სტრატეგიული გეგმა შემუშავდა სკოლის მიერ წარმოდგენილი SWOT ანალიზის საფუძველზე და სკოლაში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით. 2022-2028 სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებულია სკოლის სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები და განსაზღვრულია შესრულების ინდიკატორები. სტრატეგიულ გეგმას თან ახლავს შესასრულებელი აქტივობების კალენდარი გაწერილი დროში. სკოლის მთავარი სტრატეგიული მიზნებია: ✓ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უწყვეტი განვითარება ✓ მასწავლებლების პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა ✓ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების გაძლიერება აქტივობების კალენდარში გაწერილია მატერიალური ბაზის მუდმივი განახლებისა და სრულყოფის ღონისძიებები. მათ შორის სკოლის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზნიდან გამომდინარე საბუნებისმეტყველო კაბინეტების განახლება/შევსება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა (პედსაბჭოს სხდომის ოქმი №5 24.06.2021) . • 2021-2027 წლების სტრატეგიული გეგმა (პედსაბჭოს სხდომის ოქმი №5 24.06.2021) . • 2022-2028 წლების სტრატეგიული გეგმა (პედსაბჭოს სხდომის ოქმი №5 27. 04.2022)
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ,,საქმისწარმოების ერთიანი წესები“, წინამდებარე წესი მოიცავს ზოგად დებულებებს; სკოლის დოკუმენტაციის დაჯგუფების წესებს და მათი სახეებს; სკოლის დოკუმენტების რეგისტრაციისა და ინდექსირების წესს; შემოსული კორესპონდენციის მიღების, აღრიცხვის, დამუშავებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რეგისტრაციის წესებს; გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის წესს; ბრძანებების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესს; სკოლის პედაგოგიური საბჭოს, კომიტეტებისა და დროებითი კომისიების დადგენილებების, გადაწყვეტილებებისა რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესებს; ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების აღრიცხვის წესს, სკოლაში არსებული ჟურნალების ინდექსებს; არქივს და დასკვნით დებულებებს. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. სკოლაში იწარმოება: ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი, გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი. ოქმების, ცნობების, განცხადებებისა და ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი; • შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი; • გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი; • ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი; • საქმისწარმოების ერთიანი წესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	სკოლამ უზრუნველყოს საევაკუაციო გეგმებზე უფლებამოსილი პირის ბეჭდის არსებობა.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი საშტატო განრიგით, eSchool-ის ბაზით და მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვით. სკოლაში სულ 39 თანამშრომელია, მათ შორის 24 მასწავლებელი, წრის ხელმძღვანელი-5 და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი-10. ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალს წარმოადგენს: დირექტორი-1; ბუღალტერი-1; საქმისმწარმოებელი-1,რომელიც აგრეთვე ასრულებს დირექტორის მოვალეობას სასწავლო დარგში;სკოლისექთანი-2; ; IT სპეციალისტი-1 ბიბლითეკარი-1; დამლაგებელი 2; შვეიცარი- 1. სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს საშტატო განრიგით გათვალისწინებულ ყველა თანამშრომელთან. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში და შრომით ხელშეკრულებაში. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის საშტატო განრიგი; • ხელშეკრულებები და პირადი საქმეები; • eSchool-ის ბაზა; • სკოლის შინაგანაწესი; • 2021-2022 წლის საათობრივი ბადე;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	24
მოწვეული/მაძიებელი	7/1
პრაქტიკოსი მასწავლებლი	0 /0
უფროსი მასწავლებლი	16
წამყვანი მასწავლებლი	0
მენტორის სტატუსი	0

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლაში სულ 24 მასწავლებელია. აქედან, უფროსი მასწავლებელი-16, მაძიებელი მასწავლებელი-1 და მოწვეული მასწავლებელი-7 . უფროსი მასწავლებლის სტატუსი აქვს ასევე რელიგიის წრის ხელმძღვანელსაც. მასწავლებლებს და ზოგადად თანამშრომლებს წარმოდგენილი აქვთ ,,ზოგადი განათლების კანონის“ 33-[1] მუხლის შესაბამისად ცნობები, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	მასწავლებელთა პირადი საქმეები; Eschool - ის ბაზა;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და განთავისუფლების წესი. თანამშრომელთა შერჩევა ხდება კანდიდატებთან დირექტორის გასაუბრების შედეგად. პედაგოგები სამუშაოზე მიიღება კონკურსის გზით, მას შემდეგ რაც სკოლა გამოაცხადებს ვაკანსიას თავისუფალ ადგილზე. განსაკუთრებულ შემთხვევებში სკოლამ პედაგოგი შეიძლება დაასაქმოს კონკურსის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გარეშე მოწვეული მასწავლებლის სტატუსით. განსაზღვრულია კანდიდატის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია, შრომით ხელშეკრულების დადების ფორმა, სამსახურში მიღებისას გასაცნობი დოკუმენტაციის ჩამონათვალი და თანამშრომელთა სამსახურიდან დათხოვნის წესები და პირობები. თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და განთავისუფლების წესში არ იკითხება კონკურსის გამოცხადების საჯაროობის უზრუნველყოფის პირობები, საკონკურსო კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესები, კონკურსის ეტაპები და კონკურსის შედეგების გასაჩივრების პირობები. რაც განსაზღვრულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს *ბრ.*№174/*ნ*-ით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით", თუმცა სკოლამ წარმოადგინა საჯაროდ, ინტერნეტ სივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე http://teacherjobs.ge გამოქვეყნებული ვაკანსიების ამსახველი მასალა, აგრეთვე სკოლის დირექტორის ბრძანება (№03/03--27.12.2021) საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ და მიმღები კომისიის სხდომის ოქმი №1(12.01.2022). ოქმის დღის წესრიგის მიხედვით, განსახილველი საკითხად განსაზღვრულია, მასწავლებლობის მსურველთა დოკუმენტების განხილვა. ამავე ოქმით დასტურდება ვაკანტურ ადგილზე სასურველი კანდიდატების არჩევა, მაგრამ არ ჩანს რა კრიტერიუმებით მოხდა მასწავლებლობის კანდიდატების შეფასება. ოქმიდან ჩანს, რომ კონკურსის წესით შეირჩა მოწვეული პედაგოგებიც, თუმცა შინაგანაწესის მიხედვით სკოლა მოწვეულ მასწავლებელს კონკურსის გარეშე ასაქმებს. **სკოლამ გაითვალისწინა რეკომენდაცია, ცალკე დებულების სახით შეიმუშავა შპს ,, ლაზარეს", თანამშრომელთა შერჩევის, მიღების და განთავისუფლების წესი. დებულება მოიცავს კონკურსის გამოცხადების საჯაროობის პირობებს, საკონკურსო კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესებს, კონკურსის ეტაპებს, თუმცა არ იკითხება კონკურსის შედეგების გასაჩივრების პირობები.** შინაგანაწესით რეგულირდება თანამშრომელთა წახალისების ფორმები, მათ შორისაა: მადლობის გამოცხადება; ფასიანი საჩუქრის გადაცემა; ფულადი პრემიის გაცემა. წახალისება ცხადდება ბრძანებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ეცნობება მთელ კოლექტივს და განთავსდება პირად საქმეში. სკოლის შინაგანაწესის შესრულების გაკონტროლების მიზნით შექმნილია სკოლის დისციპლინარული კომიტეტი. განსაზღვრულია კომიტეტის წევრთა რაოდენობა და ფუნქციები, დისციპლინარული წარმოების წესები, განსაზღვრულია დისციპლინარული გადაცდომის დროს გამოყენებული სახდელების ფორმები: გაფრთხილება, საყვედური, სასტიკი საყვედური, სამსახურიდან განთავისუფლება. აღწერილია თითოეულ გადაცდომის შესაბამისი დისციპლინური სახდელი. დისციპლინური სახდელის გასაჩივრება ხდება სააპელაციო კომიტეტში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • დირექტორის ბრძანება -№03/03--27.12.2021 • მიმღები კომისიის სხდომის ოქმი №1--12.01.2022
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალი„ზი	სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები. წარმოდგენილი ხელშეკრულებების მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 10 თვით, არ იყო გათვალისწინებულია საქართველოს „შრომის კოდექსის“ მე-14 მუხლით განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები: ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; სამუშაო ადგილი, სამუშაო დრო და დასვენების დრო; ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი; მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები არ იყო გაფორმებული სტატუსის მითითებითა და სტატუსის შესაბამისი ფუნქციების აღწერით. სკოლამ აღნიშნული ხარვეზები გამოასწორა ვიზიტის დროს. წარმოადგინა დამატება ხელშეკრულებაზე შეთანხმების ფორმით, სადაც გათვალისწინებულია მასწავლებელთა სტატუსი, სამუშაოს ადგილი და სამუშაოს დრო, შვებულება და მიცემის წესი, შვებულების ხანგრძლივობა ორსულობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დროს და შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 1 წლით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შრომითი ხელშეკრულებები; • სკოლის საშტატო განრიგი; • სკოლის შინაგანაწესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლა ჩართულია „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“. სკოლაში არსებობს პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზანია: • სკოლის მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების განსაზღვრა და პროფესიული განვითარება. • მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ხარისხის ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა; • მასწავლებელთა შიდა შეფასება. კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან; • მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. საგნობრივ კათედრებზე იმართება პედაგოგთა მოხსენებები სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდებისა და პროფესიული უნარების შესახებ. პედაგოგები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ტრენინგებში. სკოლა ზრუნავს ადამიანური რესურსის (გარდა მასწავლებლებისა) პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე. სკოლის ბიბლიოთეკარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აქტიურად არის ჩართული საქალაქო ღონისძიებებში და ტრენინგებში, რომლებიც დასტურდება შესაბამისი სერთიფიკატებით. სკოლა თავის ძალებით ახორციელებს თანამშრომელთა ყოველკვირეულ კოვიდ ტესტირებას, რადგან ყავს შესაბამისი, კვალიფიცირებული და გადამზადებული მედდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფის დებულება; • თანდართული დოკუმენტაცია (ხარისხის განვითარების ჯგუფის ოქმები)
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო საზოგადოების წევრები (მასწავლებლები, თანამშრომლები, მოსწავლეები, მშობლები) აღნიშნავენ რომ სკოლაში არის კეთილგანწყობილი, თანამშრომლობითი და მზრუნველი გარემო. ხაზს უსვამენ სკოლაში არსებულ ოჯახურ გარემოს, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალებას, როგორც მოსწავლისათვის ასევე მასწავლებლისათვის. გასაუბრების დროს მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა წამოაყენონ სხვა და სხვა ინიციატივა, რომლებიც ძირითადად მხარდაჭერილია სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან. მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებაში ნათლად არის ჩამოყალიბებული მიზნები. მაგალითად ისეთი როგორცაა • მოსწავლეთა ინტერესების რეალიზება; • სკოლის ერთიანი მოსწავლეთა საზოგადოების ჩამოყალიბება; • მოსწავლეთა თავისუფალი ნების გამოხატვა; • მართვის დემოკრატიული პრინციპების შეთვისება. ამ მიზნების რეალიზებისათვის მოსწავლეთა თვითმმართველობის სამოქმედო გეგმაში გაწერილია შესაბამისი აქტივობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად ინტერესდება სასკოლო საზოგადოების კმაყოფილებით და სასკოლო კლიმატით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შინაგანაწესი • დისციპლინარული კომიტეტის ოქმები • მშობლებთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან გასაუბრება
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	თანამშრომელთა შერჩევის, მიღების და განთავისუფლების წესში, სკოლამ გაითვალისწინოს, კონკურსის გასაჩივრების წესები და პირობები.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი. 01.06.2022.

(შევსების ადგილი) თარიღი

გვერდების რაოდენობა 45 გვერდი

45

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.